ავიცენა

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის

2022 წლის 12 ოქტომბრის №01-09/18
ბრძანების №1 დანართი

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

2022

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის არსი 1

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა და განხორციელება 2

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება 4

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ორიგინალობის შეფასება (პლაგიატის გამოვლენა) 5

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტანდარტი 6

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები 9

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში“ (შემდგომში „ავიცენა“ ან „უნივერსიტეტი“) მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „დიპლომირებული მედიკოსის“ (შემდეგში „პროგრამა“) ფარგლებში **კვლევითი კომპონენტის** (სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის) დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესს.

1.2. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის შესრულება წარმოადგენს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს და მიზნად ისახავს სტუდენტისათვის სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებას, მათ შორის კვლევის დაგეგმვის, ორგანიზების, წარმართვის, შედეგების ანალიზის, სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და შედეგების წარმოდგენის ძირითადი პრინციპების სწავლებას.

1.3. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის მიმართ სხვა დამატებითი მოთხოვნები აღიწერება სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სილაბუსით.

1.4. წინამდებარე წესის მიზანია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და პლაგიატის პრევენცია.

1.5. წესის მოქმედება ვრცელდება სტუდენტებზე, რომლებიც მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებენ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს/პროექტს.

1.6. წესის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა სტუდენტის მიერ მოსამზადებელ სამეცნიერო ნაშრომზე/პროექტზე.

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის არსი

2.1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ინტეგრირებულია მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში - „დიპლომირებული მედიკოსი“, წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს და გულისხმობს სტუდენტის მიერ სამეცნიერო კვლევის/პროექტის დაგეგმვას, ორგანიზებას, წარმართვას, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, მონაცემების ანალიზს, სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას, მიღებული შედეგების წარმოჩენას.

2.2. მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - „დიპლომირებულ მედიკოსზე“ სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლება და სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევაში იწყება პროგრამის საწყის ეტაპზე (სწავლების პირველი-მეორე წლებიდან

სტუდენტი გაივლის სასწავლო კურსებს: „აკადემიური წერა"; „კვლევის მეთოდები" და „ბიოსტატისტიკა", ასევე შეეძლება სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა).

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა და განხორციელება

3.1. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან.

3.2. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელი (უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი). ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს 2 სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას.

3.3. სტუდენტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის თემის შერჩევა ხდება ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რაც დასტურდება ხელმძღვანელისა და სტუდენტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის თემის დამტკიცების შესახებ წერილობით განაცხადზე ხელის მოწერით **(ნიმუში - წინამდებარე წესის ფორმა №1).**

3.4. სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტ(ებ)თან შეთანხმებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის სათაურ(ებ)ისა და კვლევითი თეზისების განხილვას სკოლის საბჭოს სხდომაზე. სკოლის საბჭო მსჯელობს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან შესაბამისობაზე და იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის/თემის სათაურისა და ხელმძღვანელის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის შესახებ.

3.5. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის თემის სათაურის დამტკიცების შემთხვევაში, სკოლის საბჭოს დადგენილებაში აისახება სტუდენტის და ხელმძღვანელის სახელი, გვარი და შესასრულებელი ნაშრომის სათაური, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნაშრომის შესრულებისთვის ჩასატარებელი კვლევითი აქტივობების დაფინანსების ოდენობა (სკოლის მიერ დაფინანსებული აქტივობის შემთხვევაში).

3.6. ნაშრომის/კვლევითი პროექტის სათაურის დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში, სკოლის საბჭო დადგენილებაში ასახავს უარის საფუძველს, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ერთ-ერთი შემდეგი გარემოებიდან:

ა) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/პროექტი არ შეესაბამება უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებს;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/პროექტი იმეორებს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში შესრულებულ ნაშრომს/პროექტს;

გ) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის შესრულება მოითხოვს ისეთ კვლევით, ფინანსურ თუ სხვა სახის რესურსს, რომელიც ხელმისაწვდომი არ/ვერ იქნება ნაშრომზე მუშაობის პერიოდისთვის;

დ) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის სავარაუდო ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება არ შეესაბამება ნაშრომის მიმართულების სპეციფიკას;

3.7. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია შეცვალოს ნაშრომის სათაური ან/და ხელმძღვანელი და განმეორებით წარმოადგინოს ნაშრომის თემა/კვლევის პროექტი, ამისთვის სკოლის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

3.8. სტუდენტის ნაშრომების და ხელმძღვანელების რეგისტრაციის, საჭიროების შემთხვევაში ასევე განმეორებით რეგისტრაციის, პერიოდს ნაშრომის შესრულების სემესტრის დასაწყისში პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ადგენს უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანი.

3.9. სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) დაეხმაროს სტუდენტს სამუშაო გეგმის შედგენასა და კვლევითი აქტივობის დაგეგმვა-განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობა გაუწიოს ნაშრომზე მუშაობის პროცესს, ყოველკვირეული კონსულტაციების გაწევის გზით.

3.10. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია მისი ხელმძღვანელობით და/ან მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული სასწავლო კურსის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია წყაროს მითითების აუცილებლობა, შეაფასოს პლაგიატის ამომცნობ ელექტრონულ სისტემაში.

3.11. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის დასრულების შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელი ამზადებს შესაბამის დასკვნას ნაშრომის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე (**ნიმუში - წინამდებარე წესის ფორმა №2)**

3.12. სტუდენტის მიერ ნაშრომის/პროექტის შესრულების გეგმის დარღვევის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე და მიმართოს სკოლის საბჭოს დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათით. სკოლის საბჭო განიხილავს სამეცნიერო ხელმძღვანელის ბარათს და არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე სტუდენტს უნიშნავს სხვა ხელმძღვანელს.

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება

4.1. სასწავლო კურსის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება სილაბუსით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

4.2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/პროექტი საჯარო დაცვამდე/წარდგენამდე ექვემდებარება ექსპერტულ შემოწმებას/რეცენზირებას, ავიცენას რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემმოწმებელი პირ(ებ)ის მიერ **(ნიმუში - წინამდებარე წესის ფორმა №3)**

4.3. დადებითი რეცენზიის შემდეგ, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/პროექტი ფასდება ორი კომპონენტით - წერილობითი და ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია), წინამდებარე წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

4.4. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება კომისიის მიერ, საბოლოო ქულა გამოითვლება კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

4.5. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის შეფასების კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს მედიცინის სკოლის დეკანი, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით;

4.6. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა;

ბ) კვლევის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა;

გ) კვლევის მიზნები და ამოცანები;

დ) გამოყენებული ლიტერატურა;

ე) განხორციელებული კვლევის ხარისხი;

ვ) ავტორის მსჯელობა;

ზ) დასკვნები და შედეგები;

თ) აკადემიური წერის კულტურა;

ი) ნაშრომის ორიგინალურობა.

4.7. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის **ზეპირი შეფასების (პრეზენტაცია) კრიტერიუმები:**

ა) პრეზენტაციის სტრუქტურა და ვიზუალური მხარე;

ბ) პრეზენტაციის ტექნიკა, პრობლემის აქტუალობის წარმოჩენის უნარი;

გ) სიახლის დასაბუთება, კვლევის შედეგების წარმოჩენის უნარი;

დ) არგუმენტაციის, ანალიზის და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა;

4.8. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შეფასების ფორმა რეკომენდებულია შეივსოს წინამდებარე წესის თანდართული ფორმის შესაბამისად (**ნიმუში - წინამდებარე წესის ფორმა №5**)

4.9. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წარდგენის შეფასების ფორმა რეკომენდებულია შეივსოს წინამდებარე წესის თანდართული ფორმის შესაბამისად (**ნიმუში - წინამდებარე წესის ფორმა №6**).

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ორიგინალობის შეფასება (პლაგიატის გამოვლენა)

5.1. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი ექვემდებარება პლაგიატზე სავალდებულო შემოწმებას;

5.2. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება ხორციელდება ავტორის მიერ ნაშრომის ორიგინალურობის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემდეგ (**ნიმუში - წინამდებარე წესის ფორმა №4**).

5.3. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემოწმება ხორციელდება პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული სისტემის - Turnitin-ის (შემდეგში - ანტიპლაგის სისტემის) გამოყენებით;

5.4. ერთი და იგივე ნაშრომის შემოწმება პლაგიატის არსებობაზე ტარდება არაუმეტეს ორჯერ.

5.5. ნაშრომი მიიჩნევა ორიგინალურად, თუ ის შეიცავს არანაკლებ 70%-ის ოდენობით ორიგინალურ ტექსტს;

5.6. სამეცნიერო-კვლევით ნაშრომში პლაგიატად არ ითვლება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ორგანიზაციების და ნორმატიული თუ სამართლებრივი აქტების დასახელებები, ამონარიდები საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებიდან, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, დარგობრივი ტერმინები, დადგენილი წესით ტექსტის ციტირება და სხვა.

5.7. ანტიპლაგის სისტემის საშუალებით გამოვლენილი დამთხვევის შემთხვევაში, ავტორი ვალდებულია გადაამუშაოს ნაშრომი. ნაშრომის განმეორებითი შემოწმება დაშვებულია არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

5.8. განმეორებითი შემოწმების შემთხვევაში თუ ნაშრომი არ დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ავტორს არ ეძლევა ნაშრომის დაცვის/საჯაროდ წარდგენის/გამოქვეყნების უფლება და მის მიმართ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება, უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად („აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის წესის" და შინაგანაწესის შესაბამისად).

5.9. თუ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი აჭარბებს დადგენილ კრიტერიუმს, კომისიური შემოწმების შედეგად მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება მის დაშვებაზე.

5.10. პლაგიატის/აკადემიური სიყალბის/აკადემიური არაკეთილსინდისიერების დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, დამრღვევი სტუდენტის მიმართ დგება დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც განისაზღვრება უნივერსიტეტის „შინაგანაწესის“, „აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის წესის“ ან/და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

5.11. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა, ანტიპლაგის სისტემაში შემოწმების ოქმ(ებ)ი და რეცენზენტის და კომისიის, ასევე ექსპერტთა დასკვნები, ინახება სამეცნიერო-კვლევით ნაშრომთან ერთად, სტუდენტის პირად საქმეში;

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტანდარტი

6.1. სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის სტანდარტი გულისხმობს ნაშრომის მომზადებას და გაფორმებას წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

6.2. **ნაშრომის სტრუქტურა** უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისგან: 1. ფორმალური ნაწილი; 2. ძირითადი/არსებითი ნაწილი; 3. დანართი. მათ შორის:

6.2.1. <u>ნაშრომის ფორმალური ნაწილი:</u>

ა) თავფურცელი (ნიმუში - წინამდებარე წესის **ფორმა №7)** - სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის პირველი გვერდი, რომელზეც განთავსებულია სამეცნიერო ნაშრომის სათაური, ავტორის და სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი. თავფურცელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალური მოთხოვნებს:

შრიფტი	ქართულენოვანი - Sylfaen ინგლისურენოვანი - Times New Roman
ფურცელი	A4 ფორმატი, ორიენტაცია - ვერტიკალური
გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან	2 სმ
გვერდის ველები მარცხენა კიდიდან	3 სმ
გვერდის ველები მარჯვენა კიდიდან	1,5 სმ
ნაშრომის სათაური	
შრიფტის ზომა	16 (**Bold / Ctrl+B**)
სათაურის გასწორება	ცენტრი (**Center / Ctrl+E**), ზედა კიდიდან 5 ინტერვალი
ავტორის სახელი და გვარი	
შრიფტის ზომა	11 (**Bold / Ctrl+B**)
ტექსტის გასწორება	მარჯვენა კიდესთან (**Align Right / Ctrl+R**), სათაურიდან 3 ინტერვალის დაშორებით
ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
შრიფტის ზომა	11 (**Bold / Ctrl+B**)
ტექსტის გასწორება	მარჯვენა კიდესთან (**Align Right / Ctrl+R**), ავტორის სახელიდან 3 ინტერვალის დაშორებით
თარიღი	
შრიფტის ზომა	11 (**Bold / Ctrl+B**)
ტექსტის გასწორება	მარჯვენა კიდესთან (**Align Right / Ctrl+R**), სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელიდან 3 ინტერვალის დაშორებით

უნივერსიტეტის დასახელება	
შრიფტის ზომა	11 (**Bold / Ctrl+B**)
ტექსტის გასწორება	ცენტრი (**Center / Ctrl+E**), თარიღიდან 4 ინტერვალის დაშორებით
ნაშრომის შესრულების წელი	
შრიფტის ზომა	11 (**Bold / Ctrl+B**)
ტექსტის გასწორება	ცენტრი (**Center / Ctrl+E**), უნივერსიტეტის დასახელებიდან 1 ინტერვალის დაშორებით, ქვედა კიდიდან 2 ინტერვალის დაშორებით

ბ) აბსტრაქტი - სამეცნიერო ნაშრომის მოკლე შინაარსია, რომელშიც მოკლედ უნდა აისახოს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის თემატიკა, საკვლევი საკითხი, მიზნები და ამოცანები, გამოყენებული კვლევის მეთოდები, ძირითადი მიგნებები და დასკვნები. აბსტრაქტი განთავსებულია ცალკე ფურცელზე და არ არის დაყოფილი აბზაცებად, ტექსტში არ გამოიყენება ციტატები და ცხრილები. აბსტრაქტის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 4 საკვანძო სიტყვა). აბსტრაქტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

მოცულობა	300-400
შრიფტი	ქართულენოვანი - Sylfaen ინგლისურენოვანი - Times New Roman
ფურცელი	A4 ფორმატი, ორიენტაცია - ვერტიკალური
გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან	2 სმ
გვერდის ველები მარცხენა კიდიდან	3 სმ
გვერდის ველები მარჯვენა კიდიდან	1,5 სმ
სათაურის ზომა	14, მუქი შრიფტი **(Bold / Ctrl+B)**
ტექსტის შრიფტის ზომა	11, ორმხრივი გასწორებით (**Justify – Ctrl+J**)

გ) სარჩევი - სარჩევში თანმიმდევრობით უნდა მიეთითოს თავი, ქვეთავი და ბიბლიოგრაფია. სარჩევის შექმნის ინსტრუქცია: **References → Table of Contents → Automatic Table → "Contents" და/ან ავტომატურად აწყობადი სარჩევი - „სარჩევი"**

6.2.2. <u>**ნაშრომის ძირითადი / არსებითი ნაწილი**</u> იყოფა თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. ნაშრომის სტრუქტურაში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს შემდეგი კომპონენტები: 1. შესავალი; 2. ლიტერატურის მიმოხილვა; 3. მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა; 4. კვლევის შედეგები, მსჯელობა და ანალიზი; 5. დასკვნები/რეკომენდაციები; 6. ბიბლიოგრაფია. აღნიშნული კომპონენტები გამოიყოფა შესაბამისი სათაურებით/ქვესათაურებით და უნდა შეიცავდეს სათაურის/ქვესათაურის შესაბამის ინფორმაციას, კერძოდ:

ა) შესავალი - შესავალ ნაწილში უნდა გამოიკვეთოს საკვლევი პრობლემატიკა, კვლევის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა, უნდა განისაზღვროს კვლევის მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბდეს მეცნიერული ვარაუდი (ჰიპოთეზა). შესავალში წარმოდგენილი დებულებები უნდა იყოს ლაკონური და ინფორმაციული;

ბ) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი - მოცემულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, ნორმატიული დოკუმენტებისა და არსებული პრაქტიკის მიმოხილვა;

გ) მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა - მნიშვნელოვანია გამოყენებული კვლევის მეთოდების აღწერა, რელევანტურობის დასაბუთება და პროცედურის დეტალიზაცია, უნდა აიხსნას მოცემული კვლევის მეთოდების შესაბამისობა დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით;

დ) კვლევის შედეგები - კვლევის შედეგები ეყრდნობა კვლევის აღწერით ნაწილს. კვლევის შედეგები უნდა დამუშავდეს და ჩამოყალიბდეს კრიტიკული განხილვის გარეშე;

ე) მსჯელობა და მეცნიერული მიგნებები - ნაშრომის აღნიშნული ნაწილი წინა თავის ლოგიკური გაგრძელებაა. მოცემულ თავში მნიშვნელოვანია ავტორის მიერ დამუშავებული მასალისა და კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი და შეფასება;

ვ) დასკვნა და რეკომენდაციები - წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომის ლოგიკურ დასრულებას. მოცემულ თავში ავტორმა რამდენიმე აბზაცით უნდა შეაჯამოს ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები და წარმოადგინოს სარეკომენდაციო ხედვა;

ზ) ბიბლიოგრაფია - გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით - ჯერ ქართულენოვანი, შემდეგ კი უცხოენოვანი ლიტერატურა.

6.2.3. <u>ნაშრომის დანართი</u> - ნაშრომს შეიძლება თან დაერთოს კვლევის შედეგად შემუშავებული დოკუმენტები, პროექტები, მოდელები, ნიმუშები და სხვა, რომლის განთავსებაც ნაშრომის ძირითად ტექსტში დაარღვევდა მის სტრუქტურულ მთლიანობას. დანართების ეს ნაწილი არ ითვლება ნაშრომის გვერდების რაოდენობაში.

6.3. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ტექსტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალური მოთხოვნებს:

მოცულობა	არანაკლებ 25 გვერდი
ფურცელი	A4 ფორმატი, ორიენტაცია - ვერტიკალური
გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან	2 სმ
გვერდის ველები მარცხენა კიდიდან	3 სმ
გვერდის ველები მარჯვენა კიდიდან	1,5 სმ
შრიფტი	ქართულენოვანი - Sylfaen ინგლისურენოვანი - Times New Roman
ტექსტის შრიფტის ზომა	11, ორმხრივი გასწორებით (**Justify – Ctrl+J**)
სათაურებისა და ქვესათაურების ზომა	14-12, მუქი შრიფტი **(Bold / Ctrl+B)**
სტრიქონებს შორის მანძილი	1,5
გვერდების ნუმერაცია	თანმიმდევრობით დანომრილი ყველა გვერდი სატიტულო ფურცლის გარდა. დანომვრა ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით
აბზაცები	1 ინტერვალის გამოტოვებით
ლიტერატურის ციტირება	ძირითად ტექსტში, შრიფტი - ტექსტის ზომის.

	APA – (American Psychological Association) - სტილის ოფიციალური მისამართი: https://apastyle.apa.org/
ბიბლიოგრაფია (გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა)	განლაგებული ტექსტის ბოლოს, ავტომატური, ანბანური თანმიმდევრობით - ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ – უცხოურ ენებზე

6.4. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

ა) საილუსტრაციო მასალის შინაარსი, მდებარეობა და ფორმატი განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით, შესაძლებელია განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ასევე ინდივიდუალურ გვერდებზე ან დანართების სახით. აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური ორიენტაციის შემთხვევაში, გვერდების მინდვრები და ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური;

ბ) სხვა წყაროებიდან აღებული ცხრილებისა და ნახაზების შემთხვევაში არ უნდა დაირღვას საავტორო უფლებები;

გ) დასაშვებია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება;

დ) დასახელებები უნდა განთავსდეს საილუსტრაციო ნახაზის/ცხრილის თავზე ან ბოლოში, მარჯვენა კიდეში (**Align Right / Ctrl+R**);

ე) ძირითად ტექსტში განთავსებული საილუსტრაციო მასალა ინომრება თანმიმდევრულად, ილუსტრაციის სახეობის (ცხრილი, სქემა, დიაგრამა, სურათი და სხვა) შესაბამისად. დანართში განთავსებული საილუსტრაციო მასალის ნუმერაცია იწყება თავიდან;

ვ) ილუსტრაციის დასახელების შრიფტი და ზომა უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტსა და ზომას, დასაშვებია მუქი შრიფტის გამოყენება (**Bold / Ctrl+B**);

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

7.2. ავიცენას აკადემიური საბჭოს ფორმირების შემდეგ წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ან ახალი რედაქციის დამტკიცება განხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის წესდების, დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის
თემის დამტკიცების შესახებ განაცხადი

მედიცინის სკოლის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სახელი და გვარი: _____

გთხოვთ განიხილოთ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის თემის შემდეგი დასახელების დამტკიცების საკითხი:

_____

(თემა/სათაური)

_____

_____ _____

ავტორის ხელმოწერა **თარიღი**

თანახმა ვარ სამეცნიერო ხელმძღვანელობა გავუწიო

_____ _____

სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა/მოწვეულის სტატუსი **ხელმოწერა**

სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის შესაბამისობაზე

_____

(ნაშრომის ავტორი სტუდენტის სახელი და გვარი)

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/პროექტი _____

_____

შესრულებულია ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

ნაშრომი დასრულებულია და შესაძლებლად მიმაჩნია შემდგომი პროცედურის განხორციელება.

სახელი, გვარი: _____

აკადემიური თანამდებობა /მოწვეული პირის სტატუსი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

რეცენზია

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შესახებ

მედიცინის სკოლის სტუდენტი,

ნაშრომის ავტორის სახელი და გვარი: _____

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სათაური: _____

_____

რეცენზენტის სახელი და გვარი: _____

თანამდებობა _____

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შეფასება

	შეფასების კრიტერიუმები	**არასაკმარისი**	**ნაწილობრივ საკმარისი**	**საკმარისი**
	აბსტრაქტი აბსტაქტი არის ლაკონური, აღწერილია ნაშრომის მოკლე შინაარსი, გამოკვეთილია თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, კვლევის მიზნები, კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები	☐	☐	☐
	შენიშვნა:			
	ნაშრომის სტრუქტურა ნაშრომი სტრუქტურირებულია ლოგიკურად, იკვეთება ლოგიკური კავშირი თავებსა და პარაგრაფებს შორის	☐	☐	☐
	შენიშვნა:			
	კვლევის აქტუალობა ნაშრომში დასაბუთებულია კვლევის აქტუალობა, გამოკვეთილია საკვლევი პრობლემა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები.	☐	☐	☐
	შენიშვნა:			

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ნაშრომში ფართოდაა განხილული თემის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა	☐	☐	☐
შენიშვნა:			
კვლევის მეთოდები ნაშრომში აღწერილია კვლევის პროცედურა და გაანალიზებულია კვლევის შედეგები	☐	☐	☐
შენიშვნა:			
დასკვნა დასკვნა ნათლად აჯამებს განხორციელებული კვლევის შედეგებს, შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან	☐	☐	☐
შენიშვნა:			
რეკომენდაციები ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები განსაზღვრავს კვლევის შედეგების გამოყენების არეალს და აფასებს მის ეფექტურობას.	☐	☐	☐
შენიშვნა:			
ბიბლიოგრაფია დაცულია უნივერსიტეტში დანერგილი ბიბლიოგრაფიის მითითების წესი.	☐	☐	☐
შენიშვნა:			
კვლევის ეთიკა ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის ნიშნებს	☐	☐	☐
შენიშვნა:			

რეცენზენტის დასკვნა:

ყველა კრიტერიუმი შეფასებულია „საკმარისად“ ნაშრომი სრულიად შეესაბამება სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისთვის/პროექტისთვის განსაზღვრულ პირობებს - **შესაძლებლად მიმაჩნია შემდგომი პროცედურის დაწყება**	☐
„არასაკმარისად“ შეფასებულია მინიმუმ 3-5 კრიტერიუმი	☐

	ნაშრომი ნაწილობრივ შეესაბამება სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისთვის/პროექტისთვის განსაზღვრულ პირობებს - **შესაძლებლად მიმაჩნია შემდგომი პროცედურის დაწყება მითითებული შენიშვნების გასწორების შემდეგ**	
	„არასაკმარისად“ შეფასებულია 5 და/ან მეტი კრიტერიუმი ნაშრომი არ შეესაბამება სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისთვის/პროექტისთვის განსაზღვრულ პირობებს, მოითხოვს ძირეულ გადამუშავებას - **შესაძლებლად არ მიმაჩნია შემდგომი პროცედურის დაწყება**	☐

_____ _____

(რეცენზენტის ხელმოწერა) თარიღი:

ავტორის განაცხადი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ორიგინალურობის შესახებ

_____

(ავტორის სახელი და გვარი)

ვაცხადებ, რომ ჩემი ნაშრომი თემაზე _____

_____

არის ორიგინალური, მომზადებულია და წარმოდგენილია ავიცენას ,,აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის წესისა” და ეთიკური პრინციპების დაცვით, ნაშრომში გამოყენებული სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები და კვლევის შედეგები მითითებულია დადგენილი წესის შესაბამისად.

გაცნობიერებული მაქვს, რომ ჩემი მხრიდან განხორციელებული აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ჩემი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

კომისიის წევრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის

შეფასების ფურცელი

სამეცნიერო ნაშრომის ავტორი: _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

ნაშრომის სათაური: _____

_____

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	შეფასების ქულა	შენიშვნა
სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა	10		
კვლევის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა	15		
კვლევის მიზნები და ამოცანები	10		
გამოყენებული ლიტერატურა	5		
განხორციელებული კვლევის ხარისხი	10		
ავტორის მსჯელობა	5		
დასკვნები და შედეგები	10		
აკადემიური წერის კულტურა	5		
ნაშრომის ორიგინალურობა	10		
ჯამი:	**80**		

კომისიის წევრი: _____

ხელმოწერა _____

თარიღი: _____

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

კომისიის წევრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის

წარდგენის (პრეზენტაციის)

შეფასების ფურცელი

ნაშრომის ავტორის, მედიცინის სკოლის „მედიცინის” ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სახელი და გვარი: _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

სათაური: _____

_____

შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	შეფასების ქულა	შენიშვნა
პრეზენტაციის სტრუქტურა და ვიზუალური მხარე	5		
პრეზენტაციის ტექნიკა, პრობლემის აქტუალობის წარმოჩენის უნარი	5		
სიახლის დასაბუთება, კვლევის შედეგების წარმოჩენის უნარი	5		
არგუმენტაციის, ანალიზის და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა	5		
ჯამი:	20		

კომისიის წევრი: _____

ხელმოწერა _____

თარიღი: _____

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სათაური

ნაშრომის ავტორის,

მედიცინის სკოლის, მედიცინის ერთსაფეხურიანი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის

სახელი და გვარი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი და გვარი

აკადემიური თანამდებობა/მოწვეული პირის სტატუსი

თარიღი: --- ----------

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

2022 წელი